საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თამარ ალფაიძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	15	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	17	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	77	100

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

თარიღი : 07/07-2021 წელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

თამარ ალფაიძის შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის თამარ ალფაიძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	თამარ ალფაიძის „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შესაფასებლად, წინამდებარე დასაბუთებაში დეტალურად არის განხილული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. რა დროსაც, ვიხელმძღვანელე კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და საჯარო მოსმენაზე მის მიერ გამოვლენილი თვისებებითა და მახასიათებლებით. ინფორმაციის ანალიზისა და შეჯერების შედეგად, კი
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად	☐	

აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს			მივიჩნიე, რომ ვინაიდან კანდიდატი ყველა კომპონენტის მიმართ არ შეფასდა დადებითად გავაკეთე დასკვნა, რომ იგი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	15	25	თამარ ალფაიძის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების[1] შესწავლისა და საჯარო მოსმენაზე მის მიერ გაცემული პასუხების გაანალიზების შედეგად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი კარგად არ იცნობს ეროვნულ კანონმდებლობას. თუმცა, საჯარო მოსმენაზე იგი ღიად მსჯელობდა და გამოხატავდა საკუთარ მოსაზრებას სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე. ამასთან, კანდიდატის პასუხები არ იყო სრულყოფილი და ამომწურავი.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	25	კანდიდატს აქვს სპეციალობით მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება. იგი ამჟამად არის საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი. მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებში მსჯელობა თანმიმდევრულად და ნათლად არის ჩამოყალიბებული. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საჯარო მოსმენის პროცესში კანდიდატის მიერ გამოთქმული მოსაზრებები არ იყო არგუმენტირებული და სათანადოდ დასაბუთებული.
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	17	20	თამარ ალფაიძე მეტყველებს გამართულად. ამასთან, იგი ღიად და თავისუფლად გამოხატავს საკუთარ პოზიციასა და

[1] პუბლიკაციები: „ჰუმანური სამართალი; სამართლის ჰუმანური პრინციპები“, „ინტერნეტი და მისი სამართლებრივი რეგულირება“, „მასმედია და სახელმწიფო ხელისუფლება“.

			შეხედულებებს. თუმცა, საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას კანდიდატს საკმაოდ ეტყობოდა მღელვარება, რაც ხელს უშლიდა საკუთარი მოსაზრებების ნათლად და გასაგებად გადმოცემაში. თამარ ალფაიძე მის მიერ შესრულებულ სამართლებრივ დოკუმენტებში აზრს გადმოსცემს ლოგიკურად და თანმიმდევრულად.
პროფესიული თვისებები	14	15	კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილი შთაბეჭდილების გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ იგი არის მიზანდასახული, შრომისმოყვარე და პუნქტუალური.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10	თამარ ალფაიძე არის ღია სიახლეების მიმართ და აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. აღსანიშნავია, რომ იგი მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ ტრენინგსა და სასწავლო კურსში.
პროფესიული აქტივობა	5	5	თამარ ალფაიძე საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. ამასთან, იგი არის სამართლებრივი სტატიებისა და წიგნის ავტორი/თანაავტორი.
ქულათა ჯამი	77	100	
დასაბუთება	**უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით** საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 2 ნოემბერს N1/138 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა. აღნიშნულ პროცედურაში იუსტიციის		

	უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 1 დეკემბრის N1/214 განკარგულებით კანდიდატად დარეგისტრირდა თამარ ალფაიძე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი თამარ ალფაიძე კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით თამარ ალფაიძის შეფასება დაეყრდნო კანდიდატების შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მოხდა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციის გამოთხოვა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, სს „კრედიტინფო საქართველოდან“ სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან ცნობა შემოსავლების შესახებ, საჯარო სამსახურის ბიუროდან ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, კანდიდატის სამუშაო ადგილიდან ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, თამარ ალფაიძის დახასიათების მიზნით მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვ. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ თამარ ალფაიძის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენისას კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისებები, მახასიათებლები და სხვ. *<u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელი</u>* თამარ ალფაიძის პირად თვისებებს რეკომენდატორები და მასთან პირად თუ სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, რეკომენდატორები უთითებენ, რომ იგი არის კეთილსინდისიერი, შრომისმოყვარე, გაწონასწორებული და პროფესიული პრინციპებისადმი ერთგული. აღსანიშნავია, რომ

	თამარ ალფაიძემ საჯარო მოსმენაზე დატოვა კორექტული და თავაზიანი პიროვნების შთაბეჭდილება. მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი ფინანსურ ან სხვა ხასიათის ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად. კერძოდ, იგი დროულად იხდის საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის დაკისრებულ ჯარიმებს (თუმცა, 2017 წლის 8 დეკემბრიდან 2020 წლის 8 დეკემბრის ჩათვლით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ინფორმაციით, კანდიდატის მხრიდან გამოვლინდა 23 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი), კარგად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, მის მიერ ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას დარღვევას ადგილი არ ჰქონია და სხვ. თუმცა, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატს 4-ჯერ აქვს ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა, რაც დაკავშირებული იყო სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვნად შესრულებასთან (დეტალური ინფორმაცია თამარ ალფაიძის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომების შესახებ, წარმოდენილია პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასების ნაწილში). ეს ყველაფერი კი მისი მხრიდან სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვნად შესრულების კუთხით აჩენს გარკვეულ კითხვის ნიშნებს. *<u>დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელი</u>* თამარ ალფაიძის დახასიათებისას რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ იგი არის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, სამართლიანი და გამოირჩევა თავისუფალი აზროვნების უნარით. ასევე, კანდიდატი საჯარო მოსმენაზე ზოგად თუ სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობისას ამჟღავნებდა პრინციპულობას, თავდაჯერებულობას, პიროვნულ სიმტკიცესა და შეუვალობას. თამარ ალფაიძის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით კი უნდა ითქვას, რომ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი, შემომწირველი. თუმცა, იგი 2019 წელს მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის შუალედურ არჩევნებში მთაწმინდის ოლქში როგორც საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი დამოუკიდებელი კანდიდატი. ამასთან, საჯარო მოსმენაზე თამარ ალფაიძის მხრიდან არ გამოთქმულა ისეთი მოსაზრებები, რაც გააჩენდა ეჭვს მის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობაში.

პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელი

კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე, შესაძლებელია აღინიშნოს, რომ მის წინააღმდეგ სისხლისამართლებრივი წარმოება არ დაწყებულა და იგი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. ამასთან, თამარ ალფაიძისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხს რაც შეეხება, ამის თაობაზე, უნდა ითქვას, რომ კანდიდატის მიმართ სეუ-მ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისთვის პასუხისმგებლობის ზომად განსაზღვრა: რექტორის 2018 წლის 16 ნოემბრის ბრძანებით საგამოცდო საკითხების უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში წარმოუდგენლობის გამო - შენიშვნა, რექტორის 2019 წლის 24 აპრილის ბრძანებით საგამოცდო საკითხების უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში წარმოუდგენლობის გამო (მეორე შემთხვევა) - ერთი სალექციო მეცადინეობის ანაზღაურების ექვივალენტური ხელფასის დაკავება, რექტორის 2019 წლის 24 აპრილის ბრძანებით მარტი-აპრილის თვეებში ლექციებზე/მეცადინეობებზე დაგვიანებების გამო - შენიშვნა და რექტორის 2019 წლის 15 ოქტომბრის ბრძანებით 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სტუდენტთა დასკვნითი გამოცდის შეფასების შეცვლის გამო - გაფრთხილება. სასამართლოში წარმართულ დავებში მის მხარედ მონაწილეობასთან დაკავშირებით კი შესაძლებელია აღინიშნოს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი მოპასუხედ მონაწილეობდა ერთ სამოქალაქო საქმეში. დავის საგანს წარმოადგენდა თანხის გადახდის დაკისრება. თუმცა, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 აგვისტოს განჩინებით სარჩელი დატოვებულ იქნა განუხილველად. მნიშვნელოვანია, რომ გამოკითხული რეკომენდატორები პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით თამარ ალფაიძის შეფასებისას უთითებენ, რომ იგი კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობაში გამოირჩევა კორექტულობით. საჯარო მოსმენაზეც მან დატოვა ზრდილობიანი და თავდაჭერილი პიროვნების შთაბეჭდილება, თუმცა, კანდიდატს საკმაოდ ეტყობოდა მღელვარება და უჭირდა საკუთარი ემოციების მართვა.

პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებელი

თამარ ალფაიძის პიროვნულ თვისებებს და მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან,

	რეკომენდატორები უთითებენ, რომ კანდიდატი გამოირჩევა მაღალი რეპუტაციით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, თამარ ალფაიძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია, მათ შორის, მისი პოლიტიკური საქმიანობის, ასევე, სემეკის, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოში მისი კანდიდატობის შესახებ. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით კი მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ თამარ ალფაიძეს მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა ტრენინგში, სასწავლო კურსში და ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. *<u>ფინანსური ვალდებულების მახასიათებელი</u>* მოძიებული ინფორმაციის თანახმად, თამარ ალფაიძეს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია და მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. იგი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებულია ინდ. მეწარმედ. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად, გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა. ამრიგად, დასკვნის სახით, მოძიებული ინფორმაციისა და საჯარო მოსმენაზე კანდიდატის მიერ გამოვლენილი თვისებებისა და მახასიათებლების შეფასებისა და გაანალიზების შედეგად, მიმაჩნია, რომ იგი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. **უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე კანდიდატ თამარ ალფაიძის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული

	მახასიათებელი. კერძოდ, სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მათ შორის, მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებს და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას. *<u>სამართლებრივი ნორმების ცოდნის მახასიათებელი</u>* იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2021 წლის 1 ივლისს თამარ ალფაიძესთან გაიმართა საჯარო მოსმენა.[2] საჯარო მოსმენაზე კანდიდატს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. უნდა აღინიშნოს, რომ იგი იყო თავდაჯერებული და კორექტული. ამასთან, თამარ ალფაიძე ღიად და თავისუფლად გამოხატავდა საკუთარ პოზიციასა და შეხედულებებს. თუმცა, კანდიდატს მისი პროფესიული გამოცდილების გათვალისწინებით, ვფიქრობ, გაუჭირდა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სათანადოდ წარმოჩენა. რიგ შეკითხვებზე პასუხის გაცემისას მას ეტყობოდა დაბნეულობა, უჭირდა თემაზე კონცენტრირება და ვერ ახერხებდა სამართლებრივ საკითხზე სიღრმისეული, არგუმენტირებული და დასაბუთებული მსჯელობის განვითარებას. ასევე, მის მიერ გაცემული პასუხები უმეტესად იყო არათანმიმდევრული, ზოგადი და ბუნდოვანი. ამასთან, თამარ ალფაიძის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლისა და საჯარო მოსმენის პროცესში კანდიდატის მიერ გაცემული პასუხების გაანალიზების შედეგად, შესაძლებელია ითქვას, რომ იგი კარგად არ იცნობს ეროვნულ კანონმდებლობას. აგრეთვე, მის მიერ გაცემული პასუხები იყო მოკლე, ლაკონური და მასში შეინიშნებოდა რიგი შეუსაბამობები. თამარ ალფაიძის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები კი ცხადყოფს, რომ კანდიდატს გააჩნია პრობლემური და საყურადღებო საკითხების წარმოჩენის, თანმიმდევრული მსჯელობის განვითარებისა და ლოგიკური დასკვნების გამოტანის უნარი.

[2] იხ. თამარ ალფაიძესთან გამართული საჯარო მოსმენის ვიდეოჩანაწერი: https://www.youtube.com/watch?v=LnqNbo7GUM8

	გამოკითხული რეკომენდატორები მიიჩევენ, რომ კანდიდატი გამოირჩევა სამართლის ნორმების კარგი ცოდნით. ამასთან, ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ თამარ ალფაიძე ფლობს სამართლის ზოგად თუ დარგობრივ პრინციპებს, რაც მას საშუალებას აძლევს, საკითხებს შეხედოს სამართლის ფუძემდებლური პრინციპების ჭრილში. *<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებელი</u>* თამარ ალფაიძის სპეციალობით მუშაობის ხანგრძლივობა შეადგენს 21 წელს, რაც მიუთითებს მის მაღალ პროფესიულ გამოცდილებაზე. იგი ამჟამად არის საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი. ამასთან, თამარ ალფაიძის მიერ შესრულებულ სამართლებრივ დოკუმენტებში თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული და გაანალიზებული მნიშვნელოვანი საკითხები. თუმცა, საჯარო მოსმენაზე კანდიდატის მსჯელობა უმეტესად იყო ზოგადი და იგი ვერ ახერხებდა საკუთარი მოსაზრების არგუმენტირებულად და დამაჯერებლად გადმოცემას. *<u>წერის და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებელი</u>* თამარ ალფაიძე გამოირჩევა გამართული მეტყველებითა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარით. ასევე, როგორც უკვე აღვნიშნე, იგი ღიად და თავისუფლად გამოხატავს საკუთარ პოზიციასა და შეხედულებებს. თუმცა, საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას მას საკმაოდ ეტყობოდა მღელვარება, რის გამოც ხშირად უჭირდა საკუთარი შეხედულებების ნათლად, მკაფიოდ და გასაგებად გადმოცემა. თამარ ალფაიძის წერის უნარს რაც შეეხება, მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატი კარგად ფლობს წერის უნარს. კერძოდ, იგი აზრს გადმოსცემს ნათლად, ლოგიკურად და თანმიმდევრულად. ტექსტი არის გამართული და დაინტერესებული პირებისათვის არ არის რთულად აღსაქმელი. მნიშვნელოვანია, რომ მასში რაიმე თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ იკვეთება. აღსანიშნავია, რომ კანდიდატის წერის და ზეპირი კომუნიკაციის უნარს დადებითად აფასებენ მასთან სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი პირები.

	<u>პროფესიული თვისებების მახასიათებელი</u> კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და საჯარო მოსმენაზე მის მიერ გამოვლენილი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ თამარ ალფაიძე გამოირჩევა მიზანდასახულობით, პუნქტულურობითა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარით. *<u>აკადემიური მიღწევების, პროფესიული წვრთნისა და პროფესიული აქტივობის მახასიათებლები</u>* თამარ ალფაიძე არის ღია სიახლეების მიმართ და გააჩნია ახალი ცოდნის და უნარების შეძენის ინტერესი. მას მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ ტრენინგსა და სასწავლო კურსში. კანდიდატს აქვს სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი. ამასთან, იგი საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას და არის სამართლებრივი სტატიებისა და წიგნის ავტორი/თანაავტორი. კანდიდატი განაცხადში უთითებს იმასაც, რომ მისი აკადემიური ნაშრომი - „სამართალმცოდნეობის შესავალი" იურიდიული მეცნიერების დარგში წარდგენილია საქართველოს ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად. **შეჯამება** ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანდიდატ თამარ ალფაიძესთან დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ იგი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე კანდიდატის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამმა, მაქსიმალური 100 ქულიდან, შეადგინა 77 ქულა.

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 07/07-2021 წ.